


სარგბიელი

სკორტული გაზეთი

ოთხშაბათი 24 დეკემბერი 2003 №245 (2016)

ფასი 50 თეთრი



ქართული ფეხბურთის საქმეებში სატუსაღო წყდება

ჩოლოჩიანი და ჩიკაძე
ქორღანი მოინახულეს
და მის სამდიცინო
შემოწმებას ითხოვეს



გაფრეი კამერალაშვილი ფოტო

გურამ დოღვაშვილის ფოტო

მოგვალე ლეილან სარგბიელი ორშაბათსაც გამოვა


ფედარასია პრეზიდენტის სამაგისტრო გეგმას იტყვის

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე გუშინ სამთვიან წინასწარ პატიმრობაში მყოფ ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას შეხვდნენ. სამისო ნება-რთვა ჩოლარიამ და ჩივაძემ შსს-ს სავამოძიებო დეპარტამენტის უფროსისგან, ირაკლი განუგრავესგან და მის მოადგილე ვალერი გორგოძისგან მიიღეს. სხვათა შორის, სწორედ გორგოძე უძღვება მერაბ ჟორდანიას სავამოძიებო საქმეს

— დიდი მადლობა ირაკლი განუგრავეს და ვალერი გორგოძეს, პრეზიდენტთან შეხვედრის უფლება რომ მოგვცეს — თქვა ვალერი ჩოლარიამ ურნალისტებთან გუშინდელი შეხვედრისას — მერაბ ჟორდანიას იმ საკითხების შესათანხმებლად შეხვდით, რომლებიც ბოლო დროს ფედერაციაში დაგროვდა.

პრეზიდენტთან შეთანხმებით მივიღეთ გადაწყვეტილება და 26 დეკემბერს 15 საათზე დავინშეთ ადამსკოძის სხდომა, რომელიც დახურული იქნება. განვიხილავთ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს, თუმცა კონკრეტულად რას, ახლა ვერ გეტყვით.

პრეზიდენტთან შეხვედრისას ვისაუბრეთ საქართველოს ნაკრების მომავალ მწვრთნელთან დაკავშირებით. ეროვნულ გუნდში უცხოელის მონაწილეობის საკითხი კვლავაც განიხილება. მერაბ ჟორდანიას თხოვნით, ამ მიმართულებით მუშაობას გავაგრძელებთ, რადგან კიდევ არის მცირე შანსი, რათა უცხოელი ჩამოვიყვანოთ. პრეზიდენტმა გვითხრა, ჩემი მეგობარი ბიზნესმენები, რომლებიც მწვრთნელის მოძებნაში მონაწილეობდნენ, თქვენ დაგვიკავშირდებიან, შეხვდით მათ, მოუსმინეთ და ამის შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილება ერთად მივიღოთ. მწვრთნელის დანიშნვის საკითხი თებერვლამდე უნდა მოვაგვაროთ, რადგან თებერვალში კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე ვართ მიწვეულნი და იქ გუნდი უმწვრთნელად ვერ წავა. სხვათა შორის, კვიპროსი უახლოეს მომავალში ევროკავშირში გაწევრიანდება და კუნძულზე ჩასასვლელად ვიზები იქნება საჭირო.



სამისო ნება-რთვა ჩოლარიამ და ჩივაძემ შსს-ს სავამოძიებო დეპარტამენტის უფროსისგან, ირაკლი განუგრავესგან და მის მოადგილე ვალერი გორგოძისგან მიიღეს.

დინამო და 2K დაამოკიდდნენ ოქაი თუქაი

გუშინ საქართველოს ჩემპიონმა „დინამომ“ და ამერიკულ-რუსულმა საფეხბურთო ეკიპირების მწარმოებელმა ფირმა თუქაიმ ნეკლინდნახევრიანი კონტრაქტი გააფორმეს - 2K „დინამოს“ ტექნიკური სპონსორი იქნება



სერგეი კამოლცევი და დავით პეტრიაშვილი

„დინამოს“ და თუქაის ურთიერთობის დაწყება დიდძალ ბაზაზე შამპანურით, ტკბილეულითა და „იმიჯცენტრის“ ლამაზმანების თანხლებით აღინიშნა. პრეზენტაციას ვაგონებთან ერთად ლაღო ბურღულიც მონაწილეობდა, ოფიციალურ მხარეს კი „დინამოს“ მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი და 2K-ის გენერალური დირექტორი სერგეი კამოლცევი უძღვებოდნენ.

წარმის ხარისხი და საერთოდ მათი შემოთავაზებული პირობები თუქაი ახლა იწყებს თავისი საქმიანობის გაფართოებას და რეკლამირებას, ჩვენც ახალ გზაზე ვდგავართ. ერთნაირი ამბიციები გვაქვს.

„დინამოს“ აქამდე ტექნიკური სპონსორი არ ჰყავდა, ბოლო დროს გუნდისთვის საჭირო ეკიპირებას გერმანული „იაკოსგან“ ვყიდულობდით. ახლა კი კლუბისთვის ახალი ცხოვრება იწყება. თუქაისთან წელიწადნახევრიანი კონტრაქტს გააფორმებთ და ვიმედოვნებთ, მათთან თანამშრომლობა ორმხრივად მომგებიანი იქნება. ბოლო ხანს გაჭირდა ტექნიკური სპონსორის ისეთ პირობებზე დათანხმება, როგორც კლუბისთვის თუ ნაკრებისთვის სასურველია. სათქმელია ისიც, რომ ნაკრებისა და კლუბის შემოსუვა სპონსორისთვის მნიშვნელოვნად განსხვავებული საქმეა. თუნდაც რაოდენობის თვალსაზრისით. დღეის მერე კი თბილისის „დინამოს“ ეკიპირების პრობლემა მოიხსნება. მოგეხსენებათ, „დინამო“ სტრუქტურულად გაფართოვდა, ჩამოვყავალიბეთ ბავშვთა აკადემიაც. თუქაისთან გაფორმებული კონტრაქტის შემდეგ კი კლუბის წევრთა 70 პროცენტზე მეტი თუქაის ფორმას უფასოდ მიიღებს.

სერგეი კამოლცევი: თუქაი 1997 წელს ამერიკაში დაფუძნდა. აბრევიატურა 2K კი შეგვიძლია ასე გავიხსენოთ — 2000 წლის დასასრული ჩვენი სპეციალიზაცია მხოლოდ საფეხბურთო ეკიპირება და დიდ პატივად ვთვლით იმ ფაქტს, რომ ხელშეკრულებას ვაფორმებთ ისეთ სახელოვან გუნდთან, როგორც



ლაღო ბურღული ახალ სამოსში

რიც თბილისის „დინამოს“. „დინამო“ ხომ ყველასთვის კარგად ცნობილი და საყვარელი გუნდია. ქართულ ბაზარზე გასვლაც ჩვენთვის ძალიან საინტერესოა, არის კი საქართველოში ვინმე, ვინც ფეხბურთს არ თამაშობს? დაგვემილი გვაქვს საქართველოში ჩვენი წარმომადგენლობის გახსნაც.

თუქაი წარმატებით საქმიანობს რუსეთში, ნელ-ნელა კი ვაფართოვებთ ჩვენი ურთიერთობის არეალს. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციასთან გაავფორმეთ ოთხწლიანი კონტრაქტი, რის საფუძველზეც უკრაინელი მსაჯები ჩვენს ფორმას მიირჩევენ. ასევე გვსურს, მსგავსი წინადადებით მივმართოთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც. წინა სეზონში თუქაის მისურებით რუსეთის პრემიერლიგაში მხოლოდ „ტორპედო-მეტალურგი“ თამაშობდა. მომავალი სეზონის დაწყებამდე კი ათამდე გუნდთან გვექნება ტექნიკური სპონსორობაზე მოლაპარაკება.

ვიცი, რომ თბილისის „დინამოს“ დიდი გეგმები აქვს. ჩვენ მზად ვართ, „დინამოს“ ნებისმიერი წარმატების, მით უფრო, ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის შემთხვევაში, კონტრაქტის პირობებს გადავხედოთ.

„დინამომ“ და თუქაიმ სამადლობელი სიტყვები გაცვალეს და ჩვენს თვალწინ კონტრაქტიც გააფორმეს



დაუღა? არ დაუღა! სიონს გაგებულმა გაუგო

„სიონს“ არ დაუღო, გუნდს მატერიალურად არაფერს გაუჭირვებ, ყველანაირად თქვენს გვერდში ვიქნები და გაზაფხულიდან ჩემპიონობისთვის და ერთ-ერთი ევროსაგზურისთვის ვიბრძობ — ასეთი დაპირება მიიღეს გუშინ ბოლნისის ახალ გამგებელ დავით ჭიჭიკოშვილთან მისულმა სიონელებმა.

ბოლნისის გამგებელს „სიონის“ მწვრთნელები ოთარ გაბელა, გიორგი ყიფშიძე, გუნდის უფროსი პეტრე დანელია და სტადიონის დირექტორი ავთანდილ ფოფხაძე შეხვდნენ.

არ იფიქროთ, ფეხბურთში ჩაუხედავი კაციაო, „სიონის“ დიდი ქომაგი ვარ და დავამტკიცებ ამას — დაპირდა სტუმრებს ჭიჭიკოშვილი. ერთსაათიან შეხვედრაზე გამგებელმა ისიც თქვა, ვისაც წასვლა უნდა, გაუშვით, მათ ნაცვლად გამოცდილი ფეხბურთელები დავიმატოთ და 3-4 ბიჭი „სიონის“ ფარმკლუბიდანაც ავიყვანოთ.

გუშინდელი ბოლნისური შეხვედრის შემდეგ პეტრე დანელიას და ვუკავშირდით.

— შეხვედრით კმაყოფილები და ვერჩით. ფაქტობრივად, გადაწყდა, რომ „სიონი“ არ დაიშლება და კვლავაც ჩემპიონობის ერთ-ერთი პრე-

ტენდენტი იქნება. სამისოდ საჭირო აუცილებელი თანხის გარანტია გამგებელმა მოგვცა. დავით ჭიჭიკოშვილთან შეთანხმდით, რომ მაღე „თამაზ სტეფანიაზე“ მოედანს ღრუნავს გაუყვითებთ. მიღებს თურქეთიდან გამოვიწერთ და ინჟინერ-აგრონომები მაქსიმუმ ორ კვირაში მოამთავრებენ საქმეს — გვითხრა პეტრე დანელიამ.

სიონელებმა გუშინ დავით ჭიჭიკოშვილს კლუბის პრეზიდენტობა შესთავაზეს. მოვიფიქრებ, ამ საკითხს რამდენიმე დღეში გადავწყვეტო, თქვა გამგებელმა. პრეზიდენტობაზე ჭიჭიკოშვილს უარი არ უთქვამს, მაგრამ საბოლოო სიტყვამდე სააქციო საზოგადოება „მადნეულთან“ სურს ურთიერთობის გარკვევა, რადგან ბოლნისის გამგეობასთან ერთად ეს ორგანიზაციაც ითვლება „სიონის“ დამფუძნებლად.


ბოლოს გუნდიდან წასულებზეც ვთქვათ. უკრაინაში „ვოლინისთვის“ თავის მოწონებას ცდილობს დავით ჭიჭიკოშვილი. ვალტერ გუჩუას საქმე კი ფაქტობრივად მოგვარებულია. ირანში მყოფი ნახევარმცველი დღე-ღამეზე კონტრაქტს გააფორმებს ერთ-ერთ იტაურ კლუბთან.

აბაბა კვანთალიანი

საახალწლო სურჯინი სურსცილაპასთვის

„დინამო“, „შეგარდენი“, „გურია“, „ლოკომოტივი“, „სამტრედია“, ახალგაზრდული ნაკრები... მურთაზ ხურცილავას მთავარ მწვრთნელად ბერ გუნდში უმუშევია, მაგრამ ბოლო დროს სტრესულ პროფესიას ჩამოშორდა, თუმცა გაისად ალბათ კვლავ შეუდგება ამ საქმეს.

ხურცილავას ეროვნული ჩემპიონატის რამდენიმე გუნდი ეპატივება, თუმცა სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, რომ ყველაზე უფრო ქვეექსეუსელის „სპარტაკი“ აქტიურობს — ამ კლუბს უკვე შეუთავაზებია სამსახური ხურცილავასთვის და ყველაფერი მაქსიმუმ ერთი კვირაში გადაწყდება.



სურცილაპასთვის

საქართველო 15 მაგნიტუდა კალენდარი

Table with 2 columns: 'ვირველი წრა' (Virveleli Chra) and 'მაიონა წრა' (Maiona Chra). Lists dates and locations for various events.

Table with 2 columns: 'ვირველი წრა' (Virveleli Chra) and 'მაიონა წრა' (Maiona Chra). Lists dates and locations for various events.

Table titled 'დავით ყიფიანის თასი' (David Qipiani's Cup) listing winners for various categories like 'თბილისი', 'მცხეთა', etc.

კალენდარი, კარგი დარი და კალენდრის დარი ზუსტი განრიგი — ეროვნული ჩემპიონატის გუნდებს სანატრელი სხვა რა უნდა ჰქონდეთ?!

ამბობენ და, მეთხუთმეტე ჩემპიონატზე მელარე ნახევარსაც მოიღვეს. მატჩებს უფრო მეტს პროექტს კი აღმასკომი ნლუულს ან გაისად ისე დაამტკიცებს, რომ ცვლილებები თუ იქნა, ოდენ უმნიშვნელო



საქართველო 15 მაგნიტუდა კალენდარი

Large table with 3 columns: 'მაიონაწრა', 'ოფთაწრა', and 'ოფთაწრა'. Lists dates and locations for various events.

France Football



ჰაველ ნედველი

დაიბადა 1972 წლის 30 ოქტომბერს
ჰებში (ჩეხეთი)

1991—საფეხბურთო კარიერა დაი-
წყო პრატის „დუკლაში“

1992—გადავიდა პრატისავე „სპარტა-
ში“, სამჯერ გახდა ჩეხეთის ჩემპიონი

1996—ითამაშა ევროპის ჩემპიონა-
ტის ფინალში, სადაც ჩეხეთი ლონდონის
„უემბლიზე“ დამატებით დროში
ოლივერ ბირჰოფის „ოქროს გოლით“
დამარცხდა გერმანიასთან

1996—გადავიდა რომის „ლაციოში“

1998—მოიგო იტალიის თასი

1999—მოიგო ევროპის თასების მფ-
ლობელთა თასი

2000—გახდა იტალიის ჩემპიონი და
მოიგო ქვეყნის თასი

2001—40 მილიონი ევროს საფასუ-
რად გადადის ტურინის „იუვენტუსში“,
სადაც მადრიდის „რეალში“ წასული ზი-
ნედინ ზიდანი უნდა შეცვალოს

2001—ჩეხეთის ნაკრები მისი კაპიტ-
ნობით ვერ გადის მსოფლიოს 2002 წლის
ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე

2002—ტურინის „იუვენტუსთან“ ერ-
თად ხდება იტალიის ჩემპიონი

2003—„იუვენტუსთან“ ერთად ხდება
იტალიის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონთა
ლიგის ნახევარფინალში მიღებული ყვი-
თელი ბარათის შემდეგ, დისკვალიფიკა-
ციის გამო ტოვებს ფინალს „მილანთან“

2003—ივნისში ასახელებენ ჩეხეთის
საუკეთესო ფეხბურთელად

2003—სექტემბერში ჩეხეთის ნაკრე-
ბი ევროპის ჩემპიონატის ფინალური
ტურნირის სავზურს ეუფლება

2003—11 დეკემბერს „უორლდ სოკე-
რის“ ვერსიით ხდება წლის საუკეთესო
ფეხბურთელი

2003—22 დეკემბერს „ფრანს ფუტ-
ბოლის“ ვერსიით ევროპის წლის საუ-
კეთესო ფეხბურთელია



2003 წელს ერთი ძალიან თვალსაჩინო რამ მოხდა:
ჰაველ ნედველმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში გამოტოვა,
იგი დისკვალიფიცირებული გახლდათ, გამოტოვა და...
...და ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელად
„ფრანს ფუტბოლმა“ 31 წლის ჩეხი დაასახელა

შენ ხარ პირველი, მეორე და მესამე, ჯამთხარი და გუნდური შენ ხარ სულელიც!

52 ევროპული ქვეყნის უ-
რნალისტთა გამოკითხვამ „ოქროს
ბურთი“ იმ იუვენტუსელს უბოძა,
რომლის არყოფნაც ასე ძლიერ და-
აჩნდა მანჩესტერის სტადიონ „ოლდ
ტრაფორდს“, სადაც ზემოხსენებუ-
ლი ფინალი გაიმართა და „მილა-
ნმა“ მოიგო. მაშინვე ითქვა, არა-
ვის დაუმაღლეს — ნედველის არ-
ყოფნით „იუვენტუსმა“ ცხადია, მა-
გრამ კიდევ მსოფლიო გულშემატ-
კეარმა წააგო. არადა, ხომ გახსოვთ
რა სისულელის გამო გამოატოვე-
ბინეს ფინალი? ნახევარფინალის
მეორე მატჩში, „რეალის“ წინა-

აღმდეგ, მან სრულიად უსაფუძვლოდ
იუბოძა. ნეტავ რად უნდოდა იმ
ეპიზოდში, მოედნის ცენტრში, მა-
შინ როდესაც თამაშის ბედი გადა-
წყვეტილი იყო, ბურთისთვის გაბ-
წარებით ჩაწოლა?
„ასეთ ვილდოზე არც მიოცნე-
ბია. ბედნიერი ვარ, მნიშვნელოვანი
და განსაკუთრებული პატივი რომ
მეცემ“ — განაცხადა ჩეხმა და მის
გულწრფელობაში იქვე შეგვეპარა
ეჭვი. 2003 წელს ნედველი „ოქროს
ბურთზე“ არც ოცნებობდა კი არა,
ეჭვი არაა, ელოდა კიდევ მას.
„გავიგე ნომინანტთა ვინაობა, ვი-

ცილი, რომ მათ რიცხვში ვიყავი,
ოღონდ ჩემი გამარჯვებისა მაინცდა-
მაინც არ მჯეროდა“ — დასძინა
ჰაველმა.
შეგახსენებთ, რომ ნედველი 2001
წლამდე „ლაციოში“ თამაშობდა (და
ალბათ, ასე ძალიან ძლიერი არ იყო),
ხოლო 2001 წლის შემდეგ „იუვენ-
ტუსში“. ტურინში იგი „რეალში“
წასული ზინედინ ზიდანის საქმის
შესასრულებლად მიიწვიეს. ბარემ
აქვე გავიხსენოთ, რომ ერთი კვირის
წინ ფიფას ვერსიით მსოფლიოს სა-
უკეთესოობა სწორედ ზიდანს ერგო,
„სარბიელის“ მიერ „ფრანს ფუტ-

2003 წლის 15 მაისი. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის
საპასუხო მატჩი. იუვენტუსი — რეალი. ურს მაიერის
ყვითელი და პაველ ნედველმა ლიგის ფინალი გამოიტორა

ეპროვის 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელი (გრანს ფუტბოლის გუნდში)

პაველ ნადვადი	იუვენტუსი	ჩეხეთი	190
ტიერი ანრი	არსენალი	საფრანგეთი	128
პაოლო მალდინი	მილანი	იტალია	123
ანდრეი შევჩენკო	მილანი	უკრაინა	67
ზინედინ ზიდანი	რეალი	საფრანგეთი	64
რუუდ ვან ნისტელროი	მანჩესტერი	ჰოლანდია	61
რაული	რეალი	ესპანეთი	32
რობერტო კარლოსი	რეალი	ბრაზილია	27
ჯანლუიჯი ბუფონი	იუვენტუსი	იტალია	19
დევიდ ბექემი	რეალი	ინგლისი	17
რონალდო	რეალი	ბრაზილია	11
ჰენრიკ ლარსონი	სელტიკი	შვედეთი	6
დეკო	პორტუ	პორტუგალია	4
ალესანდრო დელ პიერო	იუვენტუსი	იტალია	4
დიდა	მილანი	ბრაზილია	4
როი მაკაი	ბაიერნი	ჰოლანდია	4
ალესანდრო ნესტა	მილანი	იტალია	4
ნიჰათი	სოსიედადი	თურქეთი	3
ფრანჩესკო ტოტი	რომა	იტალია	3

მიხაელ ბალაკი	ბაიერნი	გერმანია	2
ზლატან იბრაჰიმოვიჩი	აიაქსი	შვედეთი	2
ფილიპო ინძაგი	მილანი	იტალია	1
იან კოლერი	დორტმუნდი	ჩეხეთი	1
ადრიან მუტუ	ჩელსი	რუმინეთი	1
რონალდინიო	ბარსელონა	ბრაზილია	1
ფრანჩესკო ტოლდო	ინტერი	იტალია	1

უკულოდ დარჩენენ: პაბლო აიმარი (ვალენსია, არგენტინა), სოლ კემპბელი (არსენალი, ინგლისი), კრისტიან კიკუ (რომა, რუმინეთი), ჯოვანი ელბერი (ლიონი, ბრაზილია), სამუელ ეტო (მალაიურა, კამერუნი), ფიგუ (რეალი, პორტუგალია), ლუდოვიკ ჟიული (მონაკო, საფრანგეთი), იკერ კასილიასი (რეალი, ესპანეთი), ოლივერ კანი (ბაიერნი, გერმანია), პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა, ჰოლანდია), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, სერბეთი), კლოდ მაკელელე (ჩელსი, საფრანგეთი), მაიკლ ოუენი (ლივერპული, ინგლისი), პედრო პაულეტა (პსუ, პორტუგალია), რობერ პირესი (არსენალი, საფრანგეთი), მიჩელ სალგადო (რეალი, ესპანეთი), პოლ სკოულზი (მანჩესტერი, ინგლისი), ლილიან ტურამი (იუვენტუსი, საფრანგეთი), შატემ ტრაბელსი (აიაქსი, ტუნისი), დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი, საფრანგეთი), პატრიკ ვიერა (არსენალი, საფრანგეთი), კრისტიან ვიერი (ინტერი, იტალია), სილვან ვილტორდი (არსენალი, საფრანგეთი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი, იტალია)

ბოლის“ ოფისში გაგზავნილ ფურცელზე კი ეწერა: ნედვედი, შევჩენკო, მალდინი, ბუფონი, რაული.

„მე „იუვენტუს“ წავედი, ის კი მივიღე და ჯადოქრობა დაიწყო — თქვა ზიდანმა — მიხარია, ვიღყო რომ მიიღო. „იუვენტუსში“ მითხრეს, და-

ლიან კარგი ბიჭიაო, შედეგი კი თავისას მეტყველებს, რა, რა და ოქროს ბურთი უდირსთან იშვიათად მიღის“.

დავძინოთ, რომ ნედვედი იოჟეფ მასოპუსტის (1962) შემდეგ მეორე ჩეხია „გრანს ფუტბოლის“ გამოკითხვაში რომ მოიგო.

„ეს ამკარად საუკეთესო წელიწადი იყო. ცხადია, იტალია მწყობრად იყო, იტალია ხომ ფეხბურთის კარიერის ნაწილია. დამეთანხმებით, ზიდანის, ფიგუს ან რონალდოს მსგავსად ფანტაზიით სავსე ფეხბურთს ვერ ვთამაშობ. ჩემი თავი

მაში მოძრაობაზე და რიცხობრივი უპირატესობის შექმნაზე აგებული, მთლად კარგად არც მესმის რატომ მომცეს ხმა“ — თქვა „იუვენტუსთან“ ერთად 2002 და 2003 წლების იტალიის ჩემპიონმა.


საინტერესოა, რომ პაველ ნედვე-

დი მეექვსე იუვენტუსელია, რომელმაც „ოქროს ბურთი“ აღმართა. მანამდე იყვნენ ომარ სივორი (1961), პაოლო როსი (1982), მიშელ პლატინი (1983, 1984, 1985), რობერტო კარლოსი (1993) და ზინედინ ზიდანი (1998).

ბაპუნა კელიძე



ეპროვის 2003 წლის სიგოლური ნახევი



„გრანს ფუტბოლის“ ეპელა ლაურეატი

1956	სტენლი მეტიუზი	ბლექპული	ინგლისი
1957	ალფრედო დი სტეფანი	რეალი	არგენტინა/ესპანეთი
1958	რაიმონ კოპა	რეალი	საფრანგეთი
1959	ალფრედო დი სტეფანი	რეალი	არგენტინა/ესპანეთი
1960	ლუის სუარესი	ბარსელონა	ესპანეთი
1961	ომარ სივორი	იუვენტუსი	იტალია
1962	იოჟეფ მასოპუსტი	დუკლა	ჩეხოსლოვაკია
1963	ლევ იაშინი	დინამო მოსკოვი	სსრკ
1964	დენის ლოუ	მანჩესტერ იუნაიტედი	ჰოლანდია
1965	ეუსებიო	ბენფიკა	პორტუგალია
1966	ბობი ჩარლტონი	მანჩესტერ იუნაიტედი	ინგლისი
1967	ფლორიან ალბერტი	ფერენცვაროში	უნგრეთი
1968	ჯორჯ ბესტი	მანჩესტერ იუნაიტედი	ჩრდ. ირლანდია
1969	ჯანი რივერა	მილანი	იტალია
1970	გერდ მიულერი	ბაიერნი	გფრ
1971	იოჰან კრუიფი	აიაქსი	ჰოლანდია
1972	ფრანც ბეკენბაუერი	ბაიერნი	გფრ
1973	იოჰან კრუიფი	ბარსელონა	ჰოლანდია
1974	იოჰან კრუიფი	ბარსელონა	ჰოლანდია
1975	ოლეგ ბლოხინი	დინამო კიევი	სსრკ
1976	ფრანც ბეკენბაუერი	ბაიერნი	გფრ
1977	ალან სიმონსენი	მიონხენგლადბახი	დანია
1978	კევინ კიგანი	ჰამბურგი	ინგლისი
1979	კევინ კიგანი	ჰამბურგი	ინგლისი

1980	კარლ ჰაინც რუმენგე	ბაიერნი	გფრ
1981	კარლ ჰაინც რუმენგე	ბაიერნი	გფრ
1982	პაოლო როსი	იუვენტუსი	იტალია
1983	მიშელ პლატინი	იუვენტუსი	საფრანგეთი
1984	მიშელ პლატინი	იუვენტუსი	საფრანგეთი
1985	მიშელ პლატინი	იუვენტუსი	საფრანგეთი
1986	იგორ ბელანოვი	დინამო კიევი	სსრკ
1987	რუუდ გულიტი	მილანი	ჰოლანდია
1988	მარკო ვან ბასტენი	მილანი	ჰოლანდია
1989	მარკო ვან ბასტენი	მილანი	ჰოლანდია
1990	ლოთარ მათეუსი	ინტერი	გფრ
1991	ჟან პიერ პაპენი	მარსელი	საფრანგეთი
1992	მარკო ვან ბასტენი	მილანი	ჰოლანდია
1993	რობერტო ბაჯო	იუვენტუსი	იტალია
1994	ხრისტო სტიოიკოვი	ბარსელონა	ბულგარეთი
1995	ჟორჟ ვეა	მილანი	ლიბერია
1996	მათიას ზამერი	დორტმუნდი	გერმანია
1997	რონალდო	ინტერი	ბრაზილია
1998	ზინედინ ზიდანი	იუვენტუსი	საფრანგეთი
1999	რივალდო	ბარსელონა	ბრაზილია
2000	ლუის ფიგუ	რეალი	პორტუგალია
2001	მაიკლ ოუენი	ლივერპული	ინგლისი
2002	რონალდო	ინტერი, რეალი	ბრაზილია
2003	პაველ ნედვედი	იუვენტუსი	ჩეხეთი



უიღბლო განის უფესო მოგაგალი

ბაღე საბანა დიაბეტოზს დაეარსდა



ბრაზილიელთა ოდინდენ მწვრთნელ ტელე სანტანას, ვინაც მაშინ მსოფლიოს ტეტრაკამპიონებს 1982 და 86 წლების ჩემპიონატებზე გაუძღვა, ორშაბათს მარცხენა ფეხი მოკვეთეს.

სანტანას, აგერ უკვე 7 წელია, დიაბეტი სტანჯავს და წინა კვირაში პირველი ოპერაციაც გაუკეთეს ბელუ ორიზონტეს კლინიკაში დიაბეტით გამოწვეული გართულებების გამო. მაგრამ ოპერაციამ არ უშველა და ფეხი მუხლს ქვემოთ მოსაკვეთი გაუხდა.

თუ გავიხსენებთ, სანტანა უიღბლო მწვრთნელი იყო, რაკი დიდებული შემადგენლობა ჰყავდა და მსოფლიოს ჩემპიონი კი ვერ გახდა. ესპანეთის მუნდიალზე ბრაზილიის ნაკრებში თამაშობდნენ ზიკო, სოკრატესი, ელერი, უნიორი,

ფალკო — დიდი ფეხბურთელები. ბრაზილია მაშინ უპირველეს ფავორიტად ითვლებოდა და ყველაზე ლამაზ ფეხბურთსაც თამაშობდა, მაგრამ მეოთხედფინალურ ჯგუფში მომავალ ჩემპიონ იტალიასთან დამარცხების მერე მშრალზე დარჩა. ის მატჩი ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულად რჩება ფეხბურთის ისტორიაში.

ოთხი წლის მერე მექსიკაში, ბრაზილია, ცხადია, ისევ ფავორიტა შორის იყო და ისევ მეოთხედფინალში დამარცხდა საფრანგეთთან. ალბათ ის თამაშიც გახსოვთ, ზიკომ და სოკრატესმა პენალტები რომ გააფუჭეს.

სამაგიეროდ, უადრესად იღბლიანი გამოდგა სანტანას კარიერა საკლუბო მწვრთნელად. 90-იანების დასაწყისში მან ზედიზედ ორჯერ მოაგებინა „სან პაულუს“ ლიბერტადორესის თასი და ორჯერვე საკონტინენტთაშორისო თასიც ზედ მიაყოლა.

უფრო ძველ ამბებს თუ გავიხსენებთ, მაშინ აღნიშნოთ, რომ სანტანამ „ატლეტიკო მინეიროს“ პირველი საერთობრაზილიური ჩემპიონატიც მოაგებინა 1971 წელს. მას მერე ბელუ ორიზონტეს არც ერთი გუნდი ბრაზილიის ჩემპიონი არ გამხდარა.

კოტე კიკელიძე




ყველგან ბრაზილია

ხორუვირთული მსოფლიოს თასები

როგორ არ შეგშურდება ამათი შემყურე. სამ ბრაზილიელ კაპიტანს მსოფლიოს თასები აღუმატათ და ხალხს აჩვენებენ, აი, ჩვენი მონაგარიო. მარცხნივ ჟოაუ გილერმეა, ბრაზილიის 17-წლამდელობის ნაკრების კაპიტანი. მარჯვნივ 20-წლამდელობის კაპიტანი ადაილტონ ღუმ სანტოსია. მის გვერდით, იცნობდით, კაფუ დგას, ეროვნული ნაკრების ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი კაპიტანი. ჰალ-

სტუზიანი ძია კი რიკარდო ტეიშეირა გახლავთ, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, რომელსაც მრავალთა მცდელობის მიუხედავად წყალი ვერაფრით შეუყვანეს. ყველამ იცის, რომ კორუმპირებულია, მაგრამ თასებს იგებს და თავიც ყინად უჭირავს. ოლონდ ტეიშეირას ხელში რა ჯილდო უჭირია, ვერ მოგახსენებთ. დანარჩენი თასები კი, რაც არის, უკვე იცით.

სამორანო ხმაურით წავიდა




ივან სამორანოსთვის რევოლუცია არ მოუწევიათ, თავისით წავიდა. დიდი ჩილეელი, რომელმაც პროფესიულ ფეხბურთში 17 წლისამ შეაბიჯა, ახლა 36 წლისაა და წასვლა ღროულიც იყო.

ასეთი ფეხბურთელები კი ჩემად არ მიდიან. სამორანოს სანტიაგოში დიდი გაცილება მოუწევს, გამოსათხოვარი მატჩით და ფოიერვერკით. გამოსათხოვარ მატჩში სამორანომ ვოლიც გაიტანა, რაც ცხადია, არ გაგიკვირდებათ.

სამხრეთული დარღუბა

ბოლივია

„სტრონგესტი“, რომელმაც ამ წლის პირველ ნახევარში აპერტურა მოიგო, წინა უქმეებზე კლაუსურას ჩემპიონიც გახდა. ოთხთა ფინალის ბოლო მატჩში „უძლიერესებმა“ 2:1 მოუგეს „აურორას“. გამარჯვებულთაგან ორივე გოლი არგენტინელმა რუბენ ღარდო ხიგენამ გაიტანა. აქვე გავიხსენოთ, რომ „სტრონგესტს“ მწვრთნელიც არგენტინელი ჰყავს, ოდინდელი მსოფლიოს ჩემპიონი ნესტორ კლაუსენი. ის 1986 წელს გახდა ჩემპიონი, თუმცა მეტწილად სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ახლა კი კლაუსენმა თქვა: „მე ვამაყობ ჩემი გუნდით. ჩვენ შინაც ვიგებდით და სტუმრადაც და დავამტკიცეთ, რომ ჩვენი მძლეველი ბოლივიაში არავინაა.“




ნესტორ კლაუსენი

ჩილე

აპერტურას ფინალის მსგავსად კლაუსურას გადაწყვეტ მატჩშიც „კორბელოა“ და „კოლო კოლო“ შეიბნენ და ორივეჯერ „უდაბნოს მელოებად“ მონათლულმა კორბელოლებმა გაიმარჯვეს. თითქოს მეტი რა უნდაო, მაგრამ ფინალის დას-

რულებისთანავე „კორბელოას“ ურუგვაელმა მწვრთნელმა ლუის გარისტომ თქვა, კლუბიდან მივლივარ და ვერანაირი ძალა ვერ შემაცვლევინებს გადაწყვეტილებასო. გარისტომ „კორბელოა“ ექვსი თვის წინ ჩაიბარა.

კოლუმბია



პროვინციულმა „ტოლიმამ“ გვირობა ჩაიღინა, პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი. თანაც ფინალში საყოველთაოდ ფავორიტად მიჩნეული „დეპორტივო კალი“ დამარცხა პენალტების სერიაში. თუმცა ჩემპიონის ეს ტიტული პირველი სულაც არ ყოფილა ტოლიმელთა მწვრთნელ ლუის გარსიასთვის. აქამდე მან ორჯერ „მილიონარიოსი“ გააჩემპიონა, ერთხელაც „ამერიკა“. ჩვენ კი გარსიას უფრო ნაკრებიდან ვიცნობთ. წინა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში კოლუმბიის ნაკრებს ის წვრთნიდა.

ფინალში კი „ტოლიმას“, ვაღიაროთ, რომ კალელი ხერარდო ბელოას ავტოგოლიც წაეხმარა.

ჰინ რა მოიგო სამხრეთ ამერიკაში

არგენტინა	
ბოკა ხუნიორსი	აპერტურა
რივერ პლეიტი	კლაუსურა
ბოლივია	
სტრონგესტი	აპერტურა
სტრონგესტი	კლაუსურა
ბრაზილია	
კრუზეირო	ჩემპიონატი
კრუზეირო	კოპა ბრაზილია
ჩილე	
კობრელოა	აპერტურა
კობრელოა	კლაუსურა
კოლუმბია	
კალდესი	აპერტურა
ტოლიმა	კლაუსურა
ეკვადორი	
ლიგა დე კიტო	ჩემპიონატი
პერუ	
ჩემპიონატი შეწყვეტილია ფეხბურთელთა გაფიცვის გამო	
პარაგვაი	
ლიბერტადი	ჩემპიონატი
ურუგვაი	
პენიაროლი	ჩემპიონატი
ვენესუელა	
კარაკასი	ჩემპიონატი

სამხრეთული გავრთიანება „ლიგა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე საქსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
 - პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონირება დასულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი) წინასწარი ჩანერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

სარბიელი კროსი

ნაკროგიდგანთ

							1	X	2	1-X	1-2	X-2													
ინგლისი. პრემიერლიგა														19.00	065	რამდენი-სუინდონი	2,2	3,2	3,0	1,3	1,26	1,54			
XVIII ტური														19.00	066	უენსლი-პორტ ველი	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57			
26 დეკემბერი														19.00	067	სტოკპორტი-რექსემი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43			
16.00	001	არსენალი-ვულვერპემპტონი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19								ინგლისი									
	002	არსენალი-ვულვერპემპტონი 0:1	1,4	3,8	4,2								III დივიზიონი. XXIII ტური												
16.00	003	ვულვეში-საუთჰემპტონი	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62								26 დეკემბერი									
16.30	004	ნარლტონი-ჩელსი	4,6	3,4	1,7								16.00	086	დონკასტერი-სუანთორპი	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92				
19.00	005	ბირმინგემი-სიტი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6								17.30	087	ტორკი-სუონსი	1,9	3,3	3,5	1,2	1,23	1,69	
19.00	006	ბლეკბერნი-მიდლსბრო	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6								19.00	088	ბოსტონი-ლინკოლნი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43	
19.00	007	ლიდსი-ასტონ ვილა	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62								19.00	089	როვერსი-ნოროთჰემპტონი	1,9	3,2	3,6	1,19	1,24	1,69	
19.00	008	დესტერი-ნიუკასლი	3,3	3,2	2,1	1,62	1,28	1,26								19.00	090	ბერი-კარლაილი	1,4	3,8	6,5	1,02	1,15	2,39	
19.00	009	ლივერპული-ბოლტონი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1								19.00	091	კემბრიჯი-საუთენდი	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72	
19.00	010	მანჩესტერი-ვევერტონი	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72								19.00	092	ჩელტენემი-მკლსფილდი	2,1	3,3	3,1	1,28	1,25	1,59	
	011	მანჩესტერი-ვევერტონი 0:1	1,55	3,4	3,6								19.00	093	დარლინგტონი-პადერსფილდი	2,5	3,2	2,45	1,4	1,23	1,38				
19.00	012	პორტსმუთი-ტოტენჰემი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46								19.00	094	მენსფილდი-როჩდეილი	1,55	3,5	5,6	1,07	1,21	2,15	
ინგლისი														19.00	095	ოქსფორდი-ლეიტონი	1,45	3,8	6,5	1,04	1,18	2,39			
I დივიზიონი. XXV ტური														19.00	096	იოვილი-კიდერმინსტერი	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25			
26 დეკემბერი														19.00	097	იორკი-პალი	2,5	3,2	2,45	1,4	1,23	1,38			
16.00	027	კარდიფი-უოლსოლი	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02								ინგლისი									
19.00	028	ქიუნტონი-შეფილდი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4								კონფერენსი. XXIV ტური									
19.00	029	ქრისტი-ბარნლი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8								26 დეკემბერი									
19.00	030	კრ. პალასი-მიდლსბრო	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52								16.00	116	ბარტონი-ტემპორთი	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21	
19.00	031	ჯილინგემი-უოტფორდი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67								16.00	117	დავ ენდ რედი-ალდერშოტი	2,25	3,3	2,7	1,33	1,22	1,48	
19.00	032	რედისგი-უიმბლდონი	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6								16.00	118	ფარნბორო-სტივენეიჯი	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35	
19.00	033	სტოკი-პრესტონი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43								19.00	119	აურინგტონი-მორიკომბი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87	
19.00	034	სანდერლენდი-პრედფორდი	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46								19.00	120	ჩესტერი-ლეი	1,3	4,4	8,0	1	1,11	2,83	
19.00	035	ვესტ ბრომვიჩი-დერბი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31								19.00	121	პალიფაქსი-სკარბორო	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69	
19.00	036	ვესტ ჰემი-იფსვიჩი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67								19.00	122	შირუზბერი-ნორთიჩი	1,2	4,6	9,0	1	1,05	3,04	
19.00	037	უიკანი-როტერჰემი	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21								19.00	123	ტელფორდი-ფორესტ გრინი	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02	
21.35	038	ნორვიჩი-ნიტინგემი	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21								19.00	124	უოინგი-ბარნეტი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49	
ინგლისი														23.45	125	პერეფორდი-ექსეტერი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8			
II დივიზიონი. XXIII ტური														27 დეკემბერი											
26 დეკემბერი														19.00	126	მარკეტი-გრეივსენდი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57			
16.00	056	ბრენტფორდი-ბრისტოლი	2,6	3,2	2,4	1,43	1,24	1,37								შოტლანდია									
17.00	057	ბრაიტონი-უიკომბი	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32								პრემიერლიგა. XVIII ტური									
19.00	058	ბლეკპული-ტრანმერი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64								27 დეკემბერი									
19.00	059	ბირმინგემი-პლიმუთი	2,7	3,2	2,35	1,46	1,25	1,35								16.30	130	პართსი-მობერუელი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1	
19.00	060	ჩესტერფილდი-პიტერბრო	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43								19.00	131	სელტიკი-პიტერნაიანი	1,12	6,5	15,0	1	1,04	4,53	
19.00	061	კოლჩესტერი-ლუტონი	1,9	3,3	3,5	1,2	1,23	1,69									132	სელტიკი-პიტერნაიანი 0:1	1,35	4,0	4,4				
19.00	062	გრინსმი-ოლდემი	1,9	3,2	3,6	1,19	1,24	1,69								19.00	133	კილმარნოკი-დანდი იუნ.	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67	
19.00	063	პარტლპული-ბარნსლი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46								19.00	134	ლივინგსტონი-აბერდინი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72	
19.00	064	ნოტსი-ქუინს პარკი	3,5	3,2	1,95	1,67	1,25	1,21																	

შესაძლო ცვლილებები აღვიღოთ დააზუსტეთ





ილია ზედენიძის და კლოდ სორელის გზები გაიყარა

სოფლა უსხოეთში ექვხათ

კლოდ სორელი თავისი ნებით გაეცალა საქართველოს ნაკრებს. ბორჯღალოსნები ახლა უმწვრთნელოდ არიან, მაგრამ ასე ყოფნა დიდხანს არ მოუწევთ. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ჩვენებს ჩვენებივე უხელმძღვანელებენ. ამ კვირაში რაგბის კავშირი ნაკრებს ქართველ მწვრთნელთა სამეულს ჩააბარებს. ამაზე თავისი აზრი აქვს ბორჯღალოსანთა კაპიტან ილია ზედენიძეს, რომელიც ახლა უგუნდოდაა და თბილისშია

კაპიტანის აზრი: სორელი უნდა დარჩენილიყო

— ცხადია, გეცოდინება, რომ სორელი წავიდა...
— თავისთავად... ჩემი აზრით, იქნა. ახლა რომ ვუფიქრებდი, სორელი უნდა დარჩენილიყო.
— რისთვის?
— მას კიდევ შეეძლო, ჩვენთვის ბევრი რამ ესწავლებინა. სორელს თავისი შესაძლებლობები არ ამოუწურავს, თუმც ახლა გვიანია ამაზე ლაპარაკი. იგი ნებით წავიდა და უკან ვეღარ დააბრუნებ.
— დიდი შანსია, ნაკრებს ქართველმა მწვრთნელებმა უთავკაცონ. ამ ეტაპზე რამდენად გამართლებულია ნაკრების ქართველი სპეციალისტებისთვის ჩაბარება?
— როგორც ვიცი, ნაკრებს სამი ქართველი უხელმძღვანელებს. ცხადია, თითოეული მათგანი შინაურ რაგბიში წარმატებული მწვრთნელი იქნება. მგონი, მათ გამოსაცდელ ვადას მისცემენ, ისინი საგაისო ერთა თასზე უთავკაცებენ ნაკრებს

და ამის შემდეგ გადაწყდება, დატოვებენ მათ თუ არა.
— გასაგებია, მაგრამ ერთა თასზე ჩემთვის, ესპანეთის, პორტუგალიის ან რუსეთის დამარცხება შეიძლება შეძლონ, მაგრამ მერე სერიოზულ დონეს ვეღარ გასწვდნენ...
— ახლა ნაადრევია ამაზე ლაპარაკი, ვნახოთ, რა და როგორ იქნება.
— მაშინ ასე ვთქვათ, ქართველ მწვრთნელებს ისევ სორელი ხომ არ სჯობდა?
— არ ვიცი, ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა. ისე კი, ამ ეტაპზე ნაკრებს პროფესიულ რაგბიში დიდხანს ნამუშევარი სპეციალისტი სჭირდება, ის, ვისაც დიდი გამოცდილება აქვს, ასეთი კი მხოლოდ უცხოელია. მაგრამ თუ უცხოელის მოყვანა, იგი აუცილებლად სორელზე მაღალი დონის მწვრთნელი უნდა იყოს.

ბაჩო სვანიძე

მოგიდა, ნაგიდა, მოგა ახალი ფრანგი



ფილიპ სოტონი

რუმინეთის ნაკრებს, რომელიც ევროპის ერთა თასზე საქართველოს მთავარი მეტოქეა, საგაისოდ ახალი მწვრთნელი უთავკაცებს. ეს

კაცი ფრანგი ფილიპ სოტონია, 39 წლის სპეციალისტი, ვისაც პროფესიულ დონეზე მხოლოდ ერთი გუნდი, ფრანგული „მონ დე მარსანი“ გაუწვრთნია. მის დროს „მონ დე მარსანი“ ელიტარულ ლიგაში თამაშობდა, ახლა კი რანგით მესამე ლიგაში ყურფუტებს.
სოტონმა რუმინეთის ნაკრები თანამემამულე ბერნარ შარეირისგან გადაიბარა, რომელსაც მსოფლიოს თასზე ავსტრალიათან, ირლანდიასა და არგენტინასთან მარცხები არ ეპატიო. ნამიბიასთან გამარჯვება კი ამბიციურმა რუმინელებმა სათვალავშიც არ ჩააგდეს.

ათნეულელებია, ქართულ საჭადრაკო ისტორიას ქალები წერდნენ და პირად თუ გუნდურ შეჯიბრებებში მუდამ საუკეთესოებში ტრიუმფებდნენ. ბოლო წლებში ეს ტრადიცია ნელ-ნელა გაფერმკრთალდა, წლებს კი სულაც ვაჟ მოჭადრაკეთა უპირატესობა გამოიკვეთა. თუნდაც პლოვდის

ვის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ფუნდური მესამე ადგილი და ზურაბ აზმაიფარაშვილის სტამბოლური ევროპის ჩემპიონობა გავიხსენოთ. ეს მხოლოდ ნაწილია იმ მიღწევებისა, რომლებიც 2003 წელს სხვადასხვა ასაკის ქართველმა მოჭადრაკეებმა მოიპოვეს

სამ პიასით აზმაიფარაშვილს! მოჭადრაკეები თავიანთ ხაცს გვირჩევენ

გუშინ ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელები სპორტის დეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის მაღალჩინოსნებთან ერთად უურნალოდ შეხვედნენ.

პირველი სიტყვა პრეზიდენტ ნინო გურიელისა იყო და მანაც წლის შეჯამებით დაიწყო — „წლევანდელი მონაგარით ძალიან კმაყოფილი ვარ. 10-20 წლის მოჭადრაკეებმა მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე 11 მედლის მოგება მოახერხეს. აქედან სამი ოქროს, ოთხ-ოთხი კი ვერცხლი და ბრინჯაო. გარდა ამისა, შევეძელით 11 ოლიმპიური ლიცენზიის აღებაც, რაც სერიოზული შედეგია. 2004 წელი საჭადრაკო ოლიმპიადის წელია და იმედია, მასზეც წარმატებით გამოვალთ.“

გამოსარჩევია ნანა ძაგნიძის ორგანიზაციის მსოფლიოს ჩემპიონობაც. მან წლევანდელი 18-წლამდელებშიც იმარჯვა და 20-წლამდელებშიც. წლის მთავარი წარმატება კი სტამბოლის ევროპის ჩემპიონატია, რომელზეც ვაჟთა შორის ისეთმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, პირველობა კასპაროვსაც კი გაუჭირვებოდა. ჩვენდა სასიხარულოდ, საბოლოო გამარჯვება ზურაბ აზმაიფარაშვილს დარჩა და ამით ქართული ჭადრაკის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერა. მსგავსი წარმატებისთვის აქამდე ქართველ ვაჟებს არასოდეს მიუღწევიათ. ზურასა და მთელი ნაკრების წლევანდელ გამოსვლას საჭადრაკო ევორესტის დაპყრობას ვუწოდებ. აქედან გამომდინარე, ვაჟებს პრეტენზია, წლის საუკეთესო სპორტსმენად აზმაიფარაშვილი დასახელდეს. ხოლო ნაკრები წლის სამ საუკეთესო გუნდში მოხვდეს. ჭა-



ნინო გურიელი და ზურაბ აზმაიფარაშვილი

დრაკი ერის ინტელექტუალური სახეა და სათანადო დაფასებაც სჭირდება. მერე რა, რომ ოლიმპიური სახეობა არ არის.“
მეზარ ზანაიფარაშვილი, ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი — „საჭადრაკო წარმატებებს დიდი ხნის წინ მივეჩვიეთ, მაგრამ აზმაიფარაშვილის წლევანდელი გამარჯვება ერთ-ერთი გამორჩეული იყო და სიამაყის გრძობით აგავსო. სამწუხაროა, რომ ჭადრაკი არაა ოლიმპიური სახეობა, თორემ აქამდე ოქროს გარეშე ნამდვილად არ ვიქნებოდით. 2004 წელს ორი ოლიმპიადა გველის და ვისურვებდი, მედალთა სიუხვით ერთმანეთს გავვჯიბებოდით.“
ზურაბ აზმაიფარაშვილი, ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტი — „არ გვინდა, ისე

გამოგვივიდეს, თითქოს ჭადრაკის ფედერაცია რამეს ითხოვს ან თავის აზრს ვინმეს ახვევს, მაგრამ გამოჩნდა თაობა, რომელსაც კარგი შედეგების ჩვენება ძალუძს. საამისოდ მათ ყურადღება სჭირდებათ. წლევანდელი შედეგი ისტორიულია, თუმც მინდა მომავალ თაობას საამაყო ამის შემდეგაც ჰქონდეს.“
ალსანიშნავია, რომ პრესკონფერენციაზე მყოფ ურნალისტთა უმრავლესობას წლის ათი საუკეთესო სპორტსმენის სია უკვე ჩამოწერილი აქვს და მოჭადრაკეთა სიტყვების გათვალისწინება უკვე გვიანია. სხვათა შორის, თავად ფედერაციამ 2003 წლის საუკეთესო მოჭადრაკედ ნანა ძაგნიძე დაასახელა.
ოთარ ბალაჩაიძე

ქიზობაშია

ჩოგბნის ყივილი რაფტმარს სამხე მოენატრა

დიდი სპორტიდან სხვა ნაადრევად წასული ბიჭების დარად ავსტრალიელ ზემეჩოვანე პატრიკ რაფტმარსაც მობრუნების ზურვება შეჰყრია, მხოლოდ არა საფუტეღიანად, არამედ ერთი ტურნირისთვის ადელაიდის ჰარდსაფარა პირველობისთვის, რათა სამშობლოს კორტებზე ერთხელაც გაინაგარდოს.
გულდია და ჰალალმა ოზმა დიდ კორტზე ფეხი ბოლოს 2001 წელს დააბიჯა, როცა ის და მისი ქვეყნის სხვა დარჩეული მეჩოგნეები დევისფინალში მებრუნებში საფრანგეთს დაუხვდნენ. იმ ფინალის 2:3 წაგებაც მიზეზი იყო ქრონიკულ ტრავმისთანადაც ერთად — რაფტერი კარგა ხნით ჩამოშორდა იმ საქმეს, რომელშიც 1999 წლის ივლისში პირველ კაცად ითვლებოდა და რომელმაც ხალხის სიტბოსა და დიდებასთან ერთად ორი სლემტიტული და ბევრიც მომცრო ჯილდო მოუტანა. ცალკე სალაპარაკოა ჩოგბურთში ნაშოვნი კარგა ბარაქიანი ქონება, რომელმაც რაფტერი მაინც ჰალალ ბიჭად დატოვა, ისეთად, ვთქვათ, ნახევრადუცხო კაცთან კათხა ლუდის დაღვევას რომ არ თაკილობს.



იმას გამბობდით, პატ-რაფს ჩოგანი და მოძრაობა მოენატრა-თქო. ადელაიდის ტურნირის გამგე კოლინ სტაბსი უმურველად აძღვეს მას ვაილდ ქარდს ანუ ძირითად ბაღეში ადგილს ყოველგვარი კვალიფიკაციების გავლის გარეშე. „ადელაიდელები მოხარუ-

ლები იქნებიან, დიდი ავსტრალიელი კვლავ იხილონ თავიანთ კორტებზე“ — ამბობს სტაბსი.
ეს ტურნირი ცხადია ვერ დაეტოვება, მის მომდევნოდ დაკალენდრებულ ავსტრალიის ღია პირველობას, მაგრამ სახელიანი ხალხი აქაც შეიყრება — ავერ გრეგ რუხეცკი, დავიდ ნალბანდიანი, ვინ ფერეისრა და სხვანი, ასე რომ რაფტერი მათთან ჩოგნობაში ნამდვილად გაიხსენებს ნამდვილი ჩოგბურთის გემოს.

28000 მსმრგვალი

მაკ-კინლი

1912 წელს მაკ-კინლის ჩრდილოეთ მწვერვალს სამმა მთამსვლელმა პარპერმა, ლა კომ და ბროენმა შეუტყეს. მწვერვალს 53 მეტრი ამორბდათ, როცა უამინდობამ გზის გავრძელებაზე ხელი ააღებინათ. რამდენიმე დღის მერე მათ იერიში გაიმეორეს, მაგრამ ილაჯგაწყვეტილებმა „მხოლოდ“ 5980 მეტრამდე აღწიეს.

მომდევნო წელს მაკ-კინლის სამხრეთი მწვერვალი, ბოლოს და ბოლოს, მაინც დამორჩილდა ადამიანებს.

მაკ-კინლიზე მეორე ასვლა მხოლოდ 19 წლის მერე, 1932 წელს განხორციელდა. მწვერვალზე კარპე და კობენი ლინდლეს მეთაურობით ავიდნენ.

ეს კარპესთვის ალიასკის მწვერვალებზე მეოთხე ასვლა იყო. მანამდე მეგობრებთან ერთად პირველასვლები განახორციელა ლოგანზე (6050მ), დაუსონზე (4040მ) და ფერუტერზე (4660მ). ეს გამოცდილი მთამსვლელი მაკ-კინლიდან დაშვებისას კობენთან ერთად ყინულის ნაპრაღში ჩავარდა და ორივე დაიღუპა.


კარპე და ლინდლეი მაკ-კინლის პირველი მსხვერპლი აღმოჩნდნენ. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე ამ მწვერვალზე ექსპედიციები იშვიათად ეწყობოდა. მიუხედავად ამისა, მსხვერპლი დიდი იყო. მაგალითად, კარპესა და ლინდლეს მერე, 1976 წლამდე, აქ კიდევ 30 კაცი დაიღუპა. და ეს მაშინ, როცა ამ პერიოდში მიზანს სულ 40-მდე ექსპედიციამ მიაღწია.

მაკ-კინლი მუდამ იზიდავდა მთამსვლელებს, მაგრამ მწვერვალის მისაღწევამდე გრძელი მანძილი, უგზობობა და ძალიან მკაცრი არქტიკული კლიმატური პირობები განზრახვებზე ხელს აუღებინებდა. ამიტომაც იყო, რომ 1903 წელს ფრედერიკ კუკს მაკ-კინლიზე მხოლოდ 3475 მეტრის სიმაღლემდე რომ აეღწია, 49-დღიანი ლაშქრობა დასჭირდა.

იმ წლებში მთამსვლელები მარხილებში შეხებული ძაღლებით ეზიდებოდნენ საჭურველსა და ბარგს. ზოგჯერ 60 გრადუსიანი ყინვაში მიიკვლევდნენ გზას. ეს არცაა გასაკვირი — ალიასკის ყინვარების საერთო ფართობი 40 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს მაშინ, როცა მსოფლიოს ყველაზე მაღალ მთიანეთში, ყარაყორუმზე, ანდებსა და ჰიმალაიზე იგი შესაბამისად მხოლოდ 13, 12 და 10 ათასია. ამასთან, ყინვარები ლამის ოკეანის სანაპირომდე ეშვება. 1947



ქართველთაგან მაკ-კინლიზე პირველად გაია თორთლაძემ ააფრიალა დროშა



კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ბიძინა გუჯაბიძე ჩრდილოეთ ამერიკის კენწეროდან გადმოიხედავს

წლის ექსპედიციის მონაწილენი იხსენებდნენ, რომ ზაფხულის სამი თვის განმავლობაში მხოლოდ ხუთი დღე იყო ნათელი. 1942 წელს მაკ-კინლიზე 5400 მეტრის სიმაღლეზე ზაფხულის ყველაზე თბილ თვესა და ყველაზე თბილ დამეს 27 გრადუსი ყინვა იყო. 1947-1952 წლების ზამთარში საშუალო ტემპერატურა მინუს 55 გრადუსზე დაეცა, ხოლო ზაფხულის ყველაზე თბილ დღეს — მინუს 13 გრადუსამდე აიწია. მაკ-კინლიზე ამსვლელებათვის საქმეს ართულებს ძლიერი ქარიც, რომელიც საათში 180 კილომეტრამდე აღწევს.

მრავალი წლის განმავლობაში მაკ-კინლიზე ასვლას მთამსვლელები ძალზე ქვემოდას, ზღვის დონიდან 450 მეტრის სიმაღლიდან იწყებდნენ მაშინ, როცა დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე იერიში 5300 მეტრიდან იწყება.

60-იანი, განსაკუთრებით კი 70-იანი წლებიდან მაკ-კინლიზე საიერიშოდ მთამსვლელები დასახმარებლად ავიაციას მიმართავენ. თვითმფრინავებს 2050 მეტრის სიმაღლეზე აჰყავთ, რითაც მწვერვალის მისაღწევამდე თვეობით მომქანცველი ლაშქრობისგან თავისუფლდებიან და ენერგოასაც ზოგავენ. ამის წყალობით მაკ-კინლიზე ექსპედიციები გახშირდა.

მწვერვალზე ახლა ათამდე მარ-

შრუტია გაკვალული. ყველაზე საინტერესო ლაშქრობები გავიხსენოთ.

მაკ-კინლის ისტორიაში განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა 70-იანი წლები, რომელიც უჩვეულო ასვლებით გამოირჩეოდა. იაპონელებმა მაშინ მთელი ალპინისტური სამყარო ალაპარაკეს. კაუიუ ხოზიკაკა და ცუოიზი უეკი მაკ-კინლიზე პირველები ავიდნენ თხილამურებით და იქიდანაც თხილამურებით დაემშენენ. ამ პერიოდში განხორციელდა მაკ-კინლიზე ქალთა პირველი ექსპედიცია. სახელგანთქმულმა ნაომი უემურამ, რომელმაც მარტოდმარტომ ექსტრემალურ სიტუაციებში მოგზაურობითა და მწვერვალზე ასვლებით გაითქვა სახელი, პირველმა მარტოდმარტომ დალაშქრა მაკ-კინლიც, მაგრამ, სამწუხაროდ დაშვებისას უგზოუკლოდ დაიკარგა.

თუ არ ჩავთვლით მშობლიურ კავკასიონზე აღმართულ ევროპის უმაღლეს მწვერვალ იალბუზს, მაკ-კინლი პირველი პიკია, რომელზეც საქართველოს წარმომადგენელმა „შეიდი მწვერვალის“ პროგრამით ფეხი შედგა. ეს მოხდა 1996 წლის 22 მაისს. მაშინ მაკ-კინლიზე თბილისელი ვია თორთლაძე ავიდა.

თორთლაძე ჩრდილოეთ ამერიკის სახურავს რვა ეკატერინბურგელ და ირკუტსკელ მთამსვლელთან ერთად

ეწვია. მაშინ მათ გარდა მწვერვალზე ასვლას სხვადასხვა ქვეყნის 450 ალპინისტი ცდილობდა. მაკ-კინლის ყველაზე კლასიკური მარშრუტით უტევდნენ, მაგრამ ყველაზე გაწბილდნენ მეტიც, მაკ-კინლი თავის მსხვერპლთა რაოდენობა კიდევ ხუთი კაცით გაზარდა. მიზანს მხოლოდ ვია თორთლაძემ და მისმა ეკატერინბურგელმა და ირკუტსკელმა მეგობრებმა მიაღწიეს სერგეი ეფიმოვის ხელმძღვანელობით. დანარჩენთაგან 5200 მეტრზე ზემოთ ვერავინ ავიდა.

ორი წლის მერე მაკ-კინლიზე უკვე საქართველოს მთამსვლელთა პირველი დამოუკიდებელი ექსპედიცია მოეწყო. გუნდში სამი: თბილისელები ბიძინა გუჯაბიძე, ლევ სარქისოვი და რუსთაველი ბენო ქაშაყავილი იყვნენ. „მზის საუფლოში“ ისინიც კლასიკური მარშრუტით ავიდნენ.


„კლასიკური მარშრუტი ტექნიკურად ძნელი დასაძლევია არ არის — გვიამბობს ბიძინა გუჯაბიძე — მისი სირთულე საშუალო, მე-3, მე-4 კატეგორიისა, მაგრამ მთავარი პრობლემა სიმაღლეთა დიდი სხვაობა და საშინელი ყინვაა, რადგან მწვერვალი უკიდურესი ჩრდილოეთით, ლამის დედამიწის დასასრულსაა აღმართული. მაკ-კინლიზე ასვლა პრაქტიკულად თვითმფრინავის დაჯდომისთანავე, 2050 მეტრის სიმაღლიდან იწყება, რადგან

იქიდან საბაზო ბანაკამდე სიმაღლეში სულ 150 მეტრს მარტო პირველი ბანაკი უკვე 2400 მეტრზე იდგმება. ასე რომ, მარტო სიმაღლეში ასასვლელი 4 კილომეტრია. სიმაღლეთა ასეთი სხვაობა თვით დედამიწის უმაღლეს მწვერვალზეც არ გვხვდება. ყინვას ხომ ნულარ იკითხავთ, ჩვეულებრივ 35-40 გრადუსია. ასე ძალიან ჯერ არსად შეგვეცინია. და მაინც, ყველაზე პრობლემატური მწვერვალზე ასვლის ნებართვის მიღება აღმოჩნდა. საამისოდ მაშინდელი ახალი წესების მიხედვით, თურმე მთელი 60 დღე უნდა გვეცადა. ეს წესი, როგორც გვითხრეს, იმიტომ შემოუღიათ, რომ მაკ-კინლიზე 1981 წლიდან მოყოლებული 54 კაცი დაიღუპა და 60 დღეში ალპინისტები ფსიქოლოგიურად უკეთ მოემზადებიან, ან იქნებ ორი თვის ფიქრის მერე სულაც ხელი აიღონ განზრახვაზე. ჩვენ კი არც გადაფიქრებას ვაპირებდით, ვერც ორი თვე ვიყურავდით ამერიკაში. ამიტომ, მივლექ-მოვლექით და, როგორც ჩვენთან იტყვიან, საქმე ჩავაწყვეთ და მწვერვალზეც ავიდით.“

იმ დღეს ბიძინა გუჯაბიძემ მაკ-კინლის კენწეროდან ორჯერ გადმოიხედა. საქმე ის იყო რომ, ლაშქრობის მესამე დღეს მესამე ბანაკში 4200 მეტრზე რომ ავიდნენ, იქ სხვადასხვა ქვეყნის სამი ათეული ალპინისტი დახვდათ. მეორე დღეს, როცა ჩვენებმა 5100 მეტრზე გაათიეს დამე და მწვერვალისკენ დაიძრნენ, ინგლისელების, ფრანგებისა და ახალზელანდიელების თითო წყვილიც წამოეწიათ. იფიქრეს, ჩვენ სამი კვირა აქა ვართ და სამი დღის წინათ მოსული ქართველები ემანდ წლევედელ სეზონში პირველამსვლელები არ აღმოჩნდნენო. ბოლოს, წინ ახალზელანდიელი გაუშვეს. ახლა ჩვენებმა იფიქრეს, ამათ ხომ არ უნდა გვაჯობონო და ბიძინა გუჯაბიძე დაადევნეს. დაადევნეს და, ნამდვილი რბოლა გაუმართეს. ბედად, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ორივენი მშვიდობით ავიდნენ და ჩამოვიდნენ მწვერვალიდან, მაგრამ ჩვენმა მთამსვლელმა მაინც 40 წუთით დაასწრო „მზის საუფლოში“ ასვლა. მერე უკან დაბრუნებული ბიძინა დაახლოებით 5600 მეტრზე თანაგუნდელებს შეხვდა, ახლა მათ აუღვენა და მწვერვალზეც ერთად ავიდნენ.

იმ დღეებში მაკ-კინლიზე მხოლოდ ერთი ახალზელანდიელი და ორი ფრანგი ავიდა.

ავთანდილ გუგასაშვილი



მაკ-კინლიზე უგზო-უკვლოდ დაკარგული ნაომი უემურა




მაკ-კინლიზე ასვლაც სახიფათოა და მის საბაზო ბანაკში თვითმრინავით დაჯდომაც




ალიასკის მწვერვალებზე კარავს დახერხილი ყინულის ლოდებთანაც იცავენ

ელნიკოზი

ათენის ვარეუბან ელინიკოზში სავაისო ოლიმპიადისთვის კოხტა აუზი აუვიათ. შენობა მავანმა იქაურმა მღვდელმა აკურთხა, ხოლო პირველნი, ვინაც თავიანთი კუნარი სხეულები ამ ნაკურთხ წყალში გაასხმარტაღეს, ეს ბერძენი სირინოზები იყვნენ.



REUTERS ათენიდან




REUTERS ალტენბერგიდან

გოლიათი

თავიანთ ენბიელ გოლიათ იათ მინს ჩინელები ისე ეთაყვანებინან, რომ მის ამგვარ ვეება პლაკატს ნებისმიერ ქალაქში წააწყდებით. ფოტო შანხაიშია ვადიდებული. ეს ორი პოლიციელი კი კადრში რატომ მოხვდა, არ იუწყებიან.



REUTERS ზანზიდან



კვლავას ბოზობა

მსოფლიოს საბოთო თასი ვაჩადებულა სამხრეთსაქსონიურ ალტენბერგში. პირველი გასრიალების შემდეგ იქ მასპინძლები ლიდერობენ — ფოტოზეც სწორედ იმას ხედავთ, თუ როგორ სხდებიან ვაქანებულ ბოში მესაჭე ანდრე ლანგე და მისი სამი თანაგუნდელი.

სარბიელი
საორტული გაზაფთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამთავროს,
ოთხთავროს, ხუთთავროს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ შოთსვერია
დირექტორი ბიორგი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი დავით თაყაიშვილი
კაბა ინასარიძე
პაატო კვარცხელიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: ვასილ კვიციანი, ილია პაპუნაშვილი, სვილიძე გელისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე
ლადო ხიმშიაშვილი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახალაძე, ანდრეას გურასაშვილი, ლევან კელაქაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღონაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა ვიორგობიანი, ლალი გოხლიაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლიბეგელია, ჩაიუნაბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაჯილიძე, სვეტა დეკაძე, ფატი დვალისი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტარაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე მახაბაძის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbliel@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbliel.com.ge>